შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№15 (9.777)

22-29 აპრილი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.2

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები დედოფლისწყაროში

გვ.2

მეფუტკრეობის კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყო

მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

გვ.3

გვ.2

22 აპრილს დასუფთავების კვირეული იწყება

რესპუბლიკური პარტია ჩემი წარსულია

გვ.3

გვ.4

მოგზაურობა დედამიწის გარშემო...

დედოფლისწყაროელების სამი ოქრო

გვ. 8

ფესტივალიდან გამარჯვებით დაბრუნდნენ

გვ.5

C M Y K

გიორგი კვირიკაშვილი - მოხარული ვარ, რომ საქართველოსა და უნგრეთს შორის წარმატებული თანამშრომლობა ჩამოყალიბდა

მოხარული ვარ, რომ წლების მანძილზე საქართველოსა და უნგრეთს შორის მრავალი მიმართულებით მტკიცე და წარმატებული თანამშრომლობა ჩამოყალიბდა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, თანამშრომლობის პოზიტიურ ზრდაზე მეტყველებს პოლიტიკური ურთიერთობის სიხშირეც, რაც ორმხრივი ვიზიტებისა თუ საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში გამართული შეხვედრების ინტენსივობაში გამოიხატება.

„იმავდროულად, მიზნად ვისახავთ სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოებას და საინვესტიციო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას. ამ კუთხით, კმაყოფილებით აღვნიშნავ უნგრული კომპანიების მხრიდან ინტერესის ზრდას საქართველოში ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, სასტუმრო ინდუსტრიის, თუ სხვა მნიშვნელოვან სფეროებში დაგეგმილი პროექტებისადმი.

იმედს გამოვთქვამ, რომ ეკონომიკური კავშირებისა და ბიზნესკონტაქტების გააქტიურებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დღევანდელი ბიზნესფორუმიც“,- განაცხადა კვირიკაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ დღეს ხელი მოეწერა რამდენიმე შეთანხმებას, მათ შორის, ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტებს, რაც ასევე სასარგებლო წინაპირობაა თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისათვის.

„აღსანიშნავია საქართველოში უნგრელი ტურისტების მზარდი მაჩვენებელი, რასაც ქუთაისსა და ბუდაპეშტს შორის არსებული პირდაპირი რეისებიც უწყობს ხელს. მისასალმებელია, რომ 2016 წლის სექტემბრიდან, უნგრული ავიაკომპანია ჭიზზ Aირ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტშია ბაზირებული“,- განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, წელს აღინიშნება საქართველოსა და უნგრეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლის იუბილე.

„ამ პერიოდში მიღწეული შედეგებით, მართლაც, შეგვიძლია ვიამაყოთ. დასაფასებელია, რომ უნგრეთი მუდმივად აფიქსირებდა და დღემდე აფიქსირებს ურყევ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და, ასევე, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ, რისთვისაც ჩვენს უნგრელ მეგობრებს გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო“,- განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები დედოფლისწყაროში

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრისა და ამავე სამინისტროს სურსათის უვნებლობის სააგენტოს წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გამართეს. დედოფლისწყაროელმა ფერმერებმა მცენარეთა დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით კონსულტაციები სამინისტროს სპეციალისტებისგან მიიღეს. საუბარი შეეხო აგროდაზღვევასაც, რომელიც საქართველოში მეასამე წელია, წარმატებით ხორციელდება.

დედოფლისწყაროში ახლადდამონტაჟებული მეტეოსადგურების დაფარვის ზონაში მყოფმა ფერმერებმა სისტემის მუშაობაზე ისაუბრეს. მათი განცხადებით, სამინისტროს ეს ინიციატივა ეფექტური აღმოჩნდა მცენარეთა დაავადებების წინასწარ განსაზღვრისა და პრევენციისთვის.

შეხვედრებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

22 აპრილს დასუფთავების კვირეული იწყება

22 აპრილს, დედამიწის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო დასუფთავების აქციის კვირეულს იწყებს, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს.

გიგლა აგულაშვილმა, შვედეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან საქართველოში მოლი ლიენთან ერთად, „სუფთად ევროპისკენ“ - კამპანიასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა. მან საქართველოს მოსახლეობას კამპანიაში აქტიური ჩართვისკენ მოუწოდა, რაც მათი საცხოვრებელი ადგილების, მიმდებარე ტერიტორიებისა თუ წინასწარ შერჩეული ლოკაციების დასუფთავებას ითვალისწინებს.

„სუფთად ევროპისკენ“ - კამპანიაში მონაწილეობას სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სხვადასხვა სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობები, მუნიციპალიტეტები, ბიზნესისა და კერძო კომპანიების წარმომადგენლები მიიღებენ. აქციას ასევე მოხალისეები, სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები, საჯარო სკოლები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები - მსახიობები, მომღერლები, სპორტსმენები შეუერთდებიან. დასუფთავების აქცია საქართველოს 10 რეგიონის 74 მუნიციპალიტეტში გაიმართება.

მეფუტკრეობის კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყო

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყო და 5 მაისამდე გაგრძელდება. პროგრამის მიზანია სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მეფუტკრეობის პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა და წარმოებული თაფლის მიკვლევადობის უზრუნველყოფა.

პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში კოოპერატივებს, ღირებულების 30%-ად, გადაეცემათ საკუთრებაში არსებული სკების იდენტური რაოდენობა (არაუმეტეს 100 ცალი), 12 ჩარჩოიანი თაფლის საწური (ციბრუტი), თაფლის შესანახი სხვადასხვა მოცულობის (40, 60 და 220-ლიტრიანი) ავზები, რომელთა ჯამური ტევადობა არ უნდა აღემატებოდეს 2 200 ლიტრს, ფიჭის ასათლელი დანა ელექტროგამაცხელებლით და ფიჭის ანათლის ავზით.

იმ კოოპერატივს რომელთა მეპაიეების 50%-ს შეადგენენ დევნილები ან/ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ასევე იმ კოოპერატივებს, რომელთა მეპაიეებს შეადგენენ მხოლოდ ქალები, კაპიტალური ინვესტირება გადაეცემათ ღირებულების 20% -ის ოდენობით.

პროგრამაში მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი მისთვის სასურველი აღჭურვილობა როგორც ერთად, ისე ცალკ-ცალკე.

კოოპერატივის მიერ წარმოებული თაფლის ერთი ნიმუში უსაყიდლოდ შემოწმდება საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში. მონაწილე ასევე მიიღებს ტექნიკურ დახმარებას „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბერის №714 დადგენილების ძირითადი მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით.

პროგრამაში მონაწილე კოოპერატივი ვალდებულია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაცემულ სკებში განათავსოს ფუტკრის ოჯახები სკების მიღებიდან 2 წლის ვადაში.

დაინტერესებულ პირებს პროგრამაში რეგისტრაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.acda.gov.ge) შეუძლიათ.

გაზაფხული შემოსულა, ლენ...

დედოფლისწყაროს N2 ბაგა-ბაღში გაზაფხულის თემასთან დაკავშირებული ღონისძიებები გაიმართა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში.

გარემოს გაცნობას ეხებოდა შემაჯამებელი მეცადინეობა, რომელიც 4-5 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელებმა და მათმა პედაგოგებმა ჩაატარეს. მეცადინეობის მთავარი თემა იყო „გაზაფხული მოვიდა“(აღმზრდელი თამილა ტუხაშვილი, თანაშემწე მაია ზურაშვილი, ძიძა ნაირა ქაჩაიანი) . ბავშვები წარმოადგენდნენ გაზაფხულის თვეებს- მარტს, აპრილსა და მაისს. მათ დაახასიათეს თითოეული თვე, გაზაფხულის მოვლენები წარმოაჩინეს გამოცანებით, ლექსებითა და სიმღერებით... იყო მშვენიერი წარმოდგენა „გაზაფხულის ყვავილები“, სადაც ნორჩმა მსახიობებმა სხვადასხვა ყვავილის როლი მოირგეს.

* * *

გაზაფხულის თემას მიუძღვნეს შემაჯამებელი მეცადინეობა 3-4 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელებმა და პედაგოგებმა (აღმზრდელი მ. ხიუჩენკო-მარინა ჯორკოშვილი, აღმზრდელის თანაშემწე ე. ბენაშვილი, ძიძა მ. მოსეშვილი). ბავშვებმა წელიწადის სხვადასხვა დრო წარმოადგინეს და აღნიშნეს, რომ სუსხიანი ზამთრის შემდეგ გაზაფხული მოდის. მისი მოსვლა ნორჩებმა მერცხალს- გაზაფხულის მახარობელს და ასევე იმ ყვავილებს დაუკავშირეს, რომლითაც დედამიწა ირთვება. ნორჩებმა ლექსები და სიმღერები მიუძღვნეს წელიწადის ამ დროს.

გაზაფხულზე ბუნება იღვიძებს, გარემო ირთვება ათასგვარი ფერებით- ახასიათებდნენ პატარები გაზაფხულს და მეტი თვალსაჩინოებისთვის ზამთრის პერიოდში გაშიშვლებულ ხელოვნურ ხეს თავიანთი ხელით გამოჭრილი ფოთლებითა და ყვავილებით ამკობდნენ. ასევე ააყვავილეს მათ ხელოვნური მინდორი და ნამდვილი გაზაფხული შემოაბრძანეს დარბაზში, რომელსაც ბავშვების წკრიალა ხმა ეგებებოდა.

* * *

4-5 წლიანთა ჯგუფმა წარმოადგინა ღონისძიება აღდგომის თემაზე(აღმზრდელი ქეთი გიგოლაშვილი, თანაშემწე ეკა წიკლაური, ძიძა ეთერ ლობჟანიძე). პატარებმა ღრმა ცოდნა გამოავლინეს აღდგომის თემატიკის ირგვლივ. მათ ახსნეს, თუ რატომ ღებავენ ქრისტიანები წითლად კვერცხებს, რისი სიმბოლოა ჯეჯილი და პასკა: „ამ პასკაში სიტკბო და სითბოა, როგორც დედის გულში, გარედან კი გოლგოთას მთას წააგავს, ეს სანთელი კი გოლგოთას მთაზე აღმართული ჯვარია, რომელზეც ჩვენი უფალი იესო ქრისტე გააკრეს“.

პატარებმა იესო ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის სცენები წარმოადგინეს, ბოლოს კი ღვთის სადიდებელი სიტყვებით დაასრულეს ღონისძიება და აღდგომის დღესასწაული მიულოცეს დამსწრე საზოგადოებას.

მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინიციატივა - „ერთი დღე სოფელში“ გრძელდება. სოფელ სამრეკლოს შემდგომ, 21 აპრილს, გამგებელი სოფელ ოზაანის მაცხოვრებლებს შეხვდა. მან ადგილობრივი მოქალაქეებისგან პირადად მოისმინა ის პრობლემები და საკითხები, რაც მათ სოფელში აწუხებთ.

ოზაანელებს აწუხებთ გარე განათებისა და სხვადასხვა პრობლემური საკითხები, რომელზეც ამომწურავი პასუხი მიიღეს. ადგილობრივები ხაზს უსვამდნენ იმასაც, რომ რამდენიმე ხნის წინ სოფელში მონტიორი გაათავისუფლეს, რის გამოც ეს დარგი უყურადღებოდ დარჩა და ხარვეზებმა იჩინა თავი.

„თხუთმეტი წელია, ეს კაცი ჩვენი სოფლის მონტიორია. ავი იყო თუ კარგი, როდესაც სოფელში ხარვეზი იქმნებოდა და დენი ქრებოდა, ჩავისვამდით მანქანაში, წავიდოდით და უმალ გააკეთებდა ხოლმე. ამჯერად, ვინაიდან ამ ზონის რამდენიმე სოფელი ერთ ხაზზე ვართ, სხვაგან რომ რაიმე დაზიანდეს, დენი ჩვენც გვეთიშება და ადგილზე არავინ არ გვყავს, რომ ოპერატიულად რეაგირება მოახდინოს და ელექტროენერგიის მიწოდება აღდგეს. ბოლო ხანს გართულდა ვითარება, სხვა სოფლების გამოც გვეთიშება და რთულ დღეში ვართ. ადგილზე უნდა იყოს სპეციალისტი, რომ პრობლემა დროულად აღმოფხვრას,“ - აღნიშნავდნენ ოზაანელები.

გამგებელმა ადგილობრივებს განუმარტა, რომ „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ კერძო კომპანიაა და რაიონის ხელისუფლებას მათ მუშაობაში ჩარევის უფლება არ აქვს. მითუმეტეს, ხსენებული კომპანია გაკოტრების რეჟიმში მუშაობს და ფინანსური კრიზისის გამო ეფექტურად ვერ მოქმედებს. გამგებელმა აღნიშნა, რომ მათ პრობლემას კომპანიას მიაწვდის, თუმცა, ისიც სერიოზული პრობლემაა, რომ სოფელს ამ სფეროს კვალიფიციური კადრი არ ჰყავს.

ადგილობრივებმა პრობლემად წამოჭრეს ის საკითხიც, რომ ოზაანის ამაღლების ტაძრის მიმდებარედ მაგიდა და სკამები მოშლილია. ითქვა, რომ ეპარქია ამ ადგილზე მამათა მონასტრის დაარსებას გეგმავს, რის შემდეგაც ეს ადგილი ბევრად უფრო განვითარდება და მხოლოდ ამაღლების დღესასწაულზე არ გაიხსნება. მეუფე დიმიტრის ინიციატივაა, რომ ტაძარი მუდმივად მოქმედებდეს.

მოგვიანებით გამგებელი ოზაანის საბავშვო ბაღსაც ესტუმრა და აღსაზრდელებსა და აღმზრდელებს ესაუბრა. აღინიშნა ისიც, რომ ბოლო წლებში რამდენიმე ეტაპად ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო ამ ეტაპზე ოზაანის საბავშვო ბაღის შენობა ერთერთი საუკეთესოა დედოფლისწყაროში და ბევრი სოფლის ბაღს სჯობია. ითქვა, რომ საუკეთესო მენიუ და გარემო ბავშვებისა და მშობლების კმაყოფილებას იწვევს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივებს სოციალური, ინფრასტრუქტურული და სხვა საკითხების უახლოეს პერიოდში მოგვარებას დაპირდა.

„წელს ოზაანში გზის რეაბილიტაცია იგეგმება, რომელიც საკმაოდ მსხვილი პროექტია. საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონებს გავაკეთებთ. მოიხრეშება სოფლის შიდა გზები და წინა წლებში დაწყებული გარე განათების პროექტი გაგრძელდება. დარჩენილი უბნების განათებას ვგეგმავთ,“ - აღნიშნა გამგებელმა.

შეგახსენებთ, რომ გამგებლის ეს ინიციატივა გულისხმობს გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად კვირაში ერთი დღის ხალხთან გატარებას და მათგან პირადად მოსმენას ყველა იმ საჭირბოროტო საკითხებისა, რაც აწუხებთ.

ილია მარტყოფლიშვილი

რესპუბლიკური პარტია ჩემი წარსულია

რესპუბლიკური პარტიის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე აკაკი ნატროშვილმა პარტია რამდენიმე წევრთან ერთად დატოვა. რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „რესპუბლიკელებიც“ დაიშალა. აღნიშნულ ფრაქციასაც ნატროშვილი ხელმძღვანელობდა. ის გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ ოპოზიცია დატოვა და ხელისუფლებას შეუერთდა. მისი თქმით, სულ მალე „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს ორგანიზაციაში გაწევრიანდება.

4 აპრილს საკრებულოში ახალი ფრაქცია „ქართული ოცნება - ძლიერი მუნიციპალიტეტი“ შეიქმნა, ხოლო 11 აპრილის სესიაზე დეპუტატებმა ცნობად მიიღეს საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ გაუქმების და ახალი ფრაქციის შექმნის საკითხი, რომელსაც ისევ საკრებულოს წევრი აკაკი ნატროშვილი უხელმძღვანელებს.

პარტიის დატოვების მიზეზებსა და სამომავლო გეგმების შესახებ **აკაკი ნატროშვილს** ვესაუბრეთ:

„2014 წელს, როდესაც ახალი საკრებულოს უფლებამოსილება ცნეს, მაშინვე შეიქმნა ჩვენი ფრაქცია, რომელსაც „ქართული ოცნება - რესპუბლიკელები“ დაერქვა და მასში სამი დეპუტატი გავწევრიანდით. მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტია კოალიციიდან გავიდა, ჩვენს ფრაქციას სახელი შეეცვალა და „რესპუბლიკელები“ ეწოდა. შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ პარტია ბევრმა ლიდერმა დატოვა. მათ შორის დავით უსუფაშილმა და თინა ხიდაშელმა. ჩემი ფრაქციის ერთერთ წევრს ალექსანდრე ბენაშვილს გიგლა აგულაშვილის მიერ პარტიის დატოვებისთანავე სურდა ფრაქციიდან გასვლა. შემდეგ ჩვენც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პარტია დაგვეტოვებინა და ფრაქციასაც განახლებული ფორმით გაეგრძელებინა მუშაობა. ფაქტი ერთია, რომ მე ამ პარტიიდან ნაწყენი არ წამოვსულვარ და რაიმე კონფლიქტი არ გვქონია. წლების მანძილზე ძალიან კარგ ხალხთან ვთანამშრომლობდი. მეგობრობა მაკავშირებდა და ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდება.

– თუ მეგობრობთ, რატომ გაემიჯნეთ, ან როგორ მიიღეს პარტიაში თქვენი ეს ნაბიჯი?

– პარტიას ავუხსენი, რისთვის და რატომ ვტოვებდი ამ გუნდს. არანაირი პრობლემა არ შემქმნია, საკმაოდ თბილად დავშორდით ერთმანეთს, დღესაც ვგულშემატკივრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს. იქ პატრიოტი, ქვეყანაზე შეყვარებული ხალხია, მაგრამ მე ასე ჩავთვალე საჭიროდ, რომ ოპოზიცია დამეტოვებინა. ასე ჩათვალეს ჩემმა ფრაქციის წევრებმაც, ზოგმა უფრო ადრე, ლია ნატროშვილმა კი – ჩემთან ერთად. საკრებულომ ცნობად მიიღო ჩვენი ახალი ფრაქციის შექმნის საკითხი. ამჯერად შევქმენით ფრაქცია „ქართული ოცნება“ - ძლიერი მუნიციპალიტეტი“. ვთვლით, რომ რაც კი პრობლემური საკითხი იქნება დედოფლისწყაროსთვის, ყველაფერზე ვისაუბრებთ და სხდომებზე განვიხილავთ. არ მოვერიდებით კრიტიკას, რაიმეს დაფარვას, ან პრობლემებზე საუბარს. თამამად შევეხებით საჭირბოროტო საკითხებს. არ არის აუცილებელი, ოპოზიციური წარმომადგენელი იყო, რომ შენს რაიონში არსებულ პრობლემებზე საკრებულოს სხდომაზე ღიად ისაუბრო. რადგან სახელწოდებაში ქართლი ოცნება შევიტანეთ, ეს ნიშნავს, რომ ოპოზიციური ფრაქცია არ ვიქნებით, მაგრამ თამამად ვისაუბრებთ და შეძლებისდაგვარად ვიაქტიურებთ. ერთ გუნდში ყოფნა იმას არ ნიშნავს, რომ თვალი დახუჭო ისეთ საკითხებზე, რასაც არ იზიარებ და არ ეთანხმები. ვინც პიროვნულად მიცნობს, იცის, რომ ასეთი ვარ. ყოველთვის ღიად ვსაუბრობდი, თუკი რაიმე საჭირბოროტო საკითხი იყო.

– სახელწოდების გარდა, რა სხვაობაა ძველ და ახალ ფრაქციებში?

– უსაქმოდ და ჩუმად არც გასულ წლებში ვმსხდარვართ. მედიასაშუალებები ყოველთვის ესწრებოდნენ საკრებულოს სხდომებს და თქვენც ხშირად გინახავთ და გაგიშუქებიათ, რომ ყოველთვის ვაქტიურობდით. ბევრი ინიციატივა შევიდა საკრებულოში, ბევრ მათგანზე მივიღე დეპუტატების მხარდაჭერა, რადგან სწორი მიდგომა იყო. დღესაც მზად ვართ, თუ კი რაიმე პრობლემა წამოიჭრა, მისი გადაჭრის გზებზე ვიფიქროთ, გუნდთან ერთად, თუ ცალკე ჩვენს ფრაქციაში. ფრაქციის წესდებაში ცვლილებები შევიტანეთ, მაგრამ არა ძირეული. პროევროპული ძალა ვართ, ვისწრაფვით ევროპისკენ, ვაღიარებდით და კვლავაც ვამბობთ, რომ რუსეთი არის ოკუპანტი და ჩვენი მტერი! ლიბერალური მიდგომები გვაქვს და დემოკრატიისკენ მივილტვით. გვსურს, უფრო სწრაფი ნაბიჯებით მივაღწიოთ ამას.

– ანუ, გამოეყავით რესპუბლიკელებს, მაგრამ რჩებით „ქართული ოცნების“ გუნდში და ხელისუფლების გულშემატკივრად?

– დედოფლისწყაროში „ქართული ოცნების“ დაარსების პირველივე პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში და ამ გუნდის აქტიური წევრი ვიყავი მანამდეც. ახლაც ვაპირებ, რომ ქართული ოცნების რაიონულ ორგანიზაციაში გავწევრიანდე და მათ რიგებში ვიყო. პირდაპირ გეტყვით, მიმაჩნია, რომ დღევანდელი ხელისუფლება სწორ კურსს ატარებს, ქვეყანა სწორ რელსებზე დგას. ბევრი რამ გასაკეთებელია და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ბევრი პრობლემაა ჩვენს რაიონშიც და მთლიანად ქვეყანაშიც, ბერ სფეროს სჭირდება მეტი ყურადღება. ამ პრობლემებს სწორი მიდგომა და სწორად გადაჭრა სჭირდება, ვფიქრობ, ქართული ოცნება ამას მოახერხებს და მათი მიმართულება და მიდგომა ამ საკითხებისადმი სწორია. თუ ყველაფერი კარგად წავა და მათ კურსს გავიზიარებ, ხელისუფლებას მომავალშიც ყველანაირად გვერდში დავუდგები. ხოლო, თუ წინა მთავრობასავით ამ ხელისუფლებამაც უპატიებელი შეცდომები დაუშვა და სისულელეები გაიმეორა, არ გავჩუმდები და პროტესტსაც ღიად ვიტყვი. ამის პრობლემა ნამდვილად არ მექნება.

– რა ბედი ეწევა პარტია რესპუბლიკელების დედოფლისწყაროს ორგანიზაციას, დაიშალა, თუ აგრძელებს მუშაობას?

– არა, პარტია მთლიანად არ დაშლილა. ზოგიერთი წევრი ისევ დარჩა და აგრძელებს მუშაობას. მე ჯერ არ ვიცი, ვინ შეასრულებს თავმჯდომრის მოვალეობას, მაგრამ ტრადიციულად ამ პარტიაში ყოველწლიურად იმართებოდა თავმჯდომარის არჩევნები. ასე რომ, სულ მალე მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდება რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეების შიდა არჩევნები და შემდეგ გაირკვევა ახალი თავმჯდომარის ვინაობაც. ბოლო ორი წლის განმავლობაში რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობას მე ვიკავებდი, რომელიც ახლახან დავტოვე.

– ამბობთ, რომ უსუფაშვილ-ხიდაშელის გვერდით იბრძოდით და მათმა წასვლამ დააჩქარა თქვენი ეს ნაბიჯი. უსუფაშვილი უახლოეს ხანში ძალების გაერთიანებას და გააქტიურებას გეგმავს და მისი გამოჩენის შემთხვევაში რას აპირებთ?

– თუ უსუფაშვილმა ახალი პარტია დააფუძნა, მისი გამოჩენის შემდეგაც, მე „ქართულ ოცნებასთან“ დარჩენას ვაპირებ. ოპოზიციიდან წავედი. ოპოზიციური პარტია რომ მდომებოდა, ამაზე უკეთეს ადგილს ვერ ვისურვებდი.“

ანალოგიურ მიზეზს ასახელებს ჩვენთან საუბრისას ფრაქციის კიდევ ერთი წევრი ლია ნატროშვილი. ის ამბობს, რომ ბოლო ხანს პარტიის სათავეში ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, რაც მისთვის მიუღებელი იყო.

ლია ნატროშვილი: „ბოლო პერიოდში ზედა ეშელონებში ადგილი ჰქონდა ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებას. დამეთანხმებით, ეს არასასიამოვნო ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად დიდ პატივს ვცემ ქალბატონ ხათუნა სამნიძესა და ქალბატონ თამარ კორძაიას, მაინც გადავწყვიტე პარტიის დატოვება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თავდაპირველად „რესპუბლიკელებში“ ჩემი მისვლა დავით უსუფაშვილის, თინა ხიდაშელის, ძმები ბერძენიშვილების პარტიაში ყოფნამ განაპირობა. დღეს არცერთი მათგანი აღარ არიან პარტიაში. ესეც ერთერთი მიზეზია, რომ პარტია დავტოვე.“

ილია მარტყოფლიშვილი

მოგზაურობა „დედამიწის გარშემო“...

როცა რაიმეს კეთებას დავაპირებ, ამაში ყველაზე დიდი წვლილი ჩემს აღსაზრდელებს მიუძღვით. ისინი არიან იმ იდეების ავტორები, რომელთა განხორციელებაშიც ვეხმარებით ჩვენ, ბაღის აღმზრდელები. დღეს სკოლამდელი დაწესებულებების სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა მოიცავს სწორედ იმ საკითხებს, რომელიც წაახალისებთ და დააინტერესებთ მათ. ერთ-ერთი ასეთი აქტივობისთვის ავიღე თემა: „მოგზაურობა და ლაშქრობა“ და გადავწყვიტეთ, გვემოგზაურა დედამიწის გარშემო, რისთვისაც გამოვიყენეთ ჩვენი ბაღის ეზო, შევადგინეთ რუკა და ბავშვებიც სიხარულით ელოდებოდნენ იმ დღეს, როცა ვიტყოდით, რომ დღეს კარგი ამინდია და სამოგზაუროდ უნდა წავიდეთო!

მოკლედ,იმ დღით ჩვენი ჟრიამული მთელი ბაღის ეზო-ყურეს ავსებდა. ზურგჩანთებითა და საჭირო ნივთებით შეიარაღებულები გავუდექით გზას. რუკაზე პირველი მინიშნება იყო კიბეზე ჩასვლა. როგორც კი გავარკვიეთ გეზის მიმართულება, სიხარულით გავუყევით გზას. მერე იყო გამოცანებისა და რებუსების ამოხსნა, მიმართულებისა და სივრცეში ორიენტირების უნარის გამომჟღავნება.

ახალი დაბრკოლება იყო მთების გადალახვა,რისთვისაც გამოვიყენეთ კიბეზე ცოცვა. ამ ყველაფერს კი ახალისებდა მხიარული სიმღერები და შეძახილები, ამაში კი ჩვენი აღსაზრდელების მშობლებიც იყვნენ ჩართულნი, სხვაგვარად არც იქნებოდა. მთელი კვირა ოჯახში სალაპარაკო თემა ხომ მოგზაურობა იყო, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია და სურვილი იმისა, რომ ჩართულიყვნენ ჩვენს აქტივობაში.

ხრიოკი ადგილები უდაბნოს გადასალახად გამოვიყენეთ. მოვაწყეთ ხელოვნური ჭაობი და ბოლოს მივადექით ზღვას.ზღვას როგორ გავცურავდით, თუ არა-გემით. ჰოდა, გემიც იქვე მოვაწყეთ. ბაღის შენობის გარე კიბეზე აღვმართეთ აფრები , მივამაგრეთ შტურვალი და დურბინდით ვათვალიერებდით სივრცეს. სწორედ მაშინ გაიგეს პატარებმა, რომ ამ სივრცეს ჰორიზონტი ჰქვია.

რუკაზე ბოლო მინიშნება გვირაბი იყო, რომელსაც განძის ყუთთან მივყავდით.მართალ გვირაბს ვერ გავთხრიდით, მაგრამ მაცივრის შესაფუთმა ყუთებმა კი მართლაც გაგვიწია გვირაბის იმიტაცია. ბავშვებმა მოიმარჯვეს პატარა ფანქრები და მუცელზე ცოცვით გაიკვლიეს გზა. განძის ყუთი ბაღის დირექტორის კაბინეტში აღმოჩნდა. სანამ ქეთინო მასწავლებელმა ამომწურავი პასუხები არ მიიღო მათთვის დასმული კითხვებზე, იქამდე არ გაგვატანა ყუთი. დარწმუნებულები იმაში,რომ ეს ბავშვები ლაღად და თავისუფლად მოაზროვნე თაობას ეკუთვნიან, ამაყები დავბრუნდით ჩვენს ჯგუფში. ხოლო,თუ რა იყო იმ ყუთში, მოგვიანებით გაგიმხელთ...

N1 ბაგა-ბაღის
5-6 წლიანთა ჯგუფის აღმზრდელი
დალი მაძღარაშვილი

გასეირნება კოსმოსში...

20 აპრილს N1 ბაგა-ბაღის 5-6 წლიანთა ჯგუფში „კოსმოსში სამოგზაუროდ“ მიგვიწვიეს. ჯგუფის პედაგოგის დალი მაძღარაშვილის მიერ განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა განსაკუთრებულ მოწონებასა და ქებას იმსახურებს, როგორც მშობლების მხრიდან, ასევე ბაღის დირექციისა და სააღმზრდელო ცენტრისგან.

აპრილის თვეში მიმდინარე „დედამიწის დღესა“ და „კოსმონავტიკის დღეს“ დაეთმო თემატურად განხორციელებული ღონისძიება ბუნებისმეტყველებაში.

-როგორ შეიქმნა სამყარო, რისგან შედგება კოსმოსი, რამდენი პლანეტაა და რა ჰქვიათ მათ, რას ნიშნავს ორბიტა, როგორი ფორმა აქვს დედამიწას, ვინ და როდის იმოგზაურა მის გარშემო, რა არის გლობუსი, ჭოგრიტი (ტელესკოპი), სად არის საქართველოში უძველესი ობსერვატორია, ვინ იყვნენ პირველი კოსმონავტები, ამ და სხვა უამრავ კითხვას სხარტად და მხიარულად პასუხობდნენ ბავშვები,ბევრი იხალისეს პლანეტა „ვენერაზე“, ეს სახელწოდება კარგად ნაცნობი აღმოჩნდა ბევრისთვის და ასე ხალის-ხალისითა და თამაშ-თამაშით გაეცნენ „საიდუმლოებებს“ პატარა აღსაზრდელები, გაიგეს, რომ სამყაროში დედამიწის გარდა სხვა პლანეტებიც არსებობენ, რომ ჩვენი სამყარო უკიდეგანოა და ყოველდღიურად მის შესახებ მეცნიერები ახალ ინფორმაციას გვაწვდიან. დიახ, სანამ ჩვენი ბავშვები ბოლომდე გაიაზრებენ სამყაროს, დედამიწისა და კოსმოსის არსს, მანამდე მათ სმენით მეხსიერებაში უკვე არსებობს ზოგადი და საკმაოდ მოხერხებულად მიწოდებული ინფორმაცია.

მთლიანად დეკორაციაში იყო ჩასმული თითოეული პლანეტა, ბავშვებმა „იმოგზაურეს რაკეტით“, „გაფრინდნენ მთვარეზე“ კურიოზებითა და სხვა სახალისო თავგადასავლებით.

ღონისძიებაში, დაწყებიდან დასრულებამდე, მთლიანად იყო ემოციურად ჩართული ბაღის დირექტორი ქეთინო დოლიძე. დალი მასწავლებელს თითოეულ მოქმედებაში გვერდიდან არ სცილდებოდნენ თანაშემწე ელენა პოპიაშვილი და ძიძა ია შაკიაშვილი.

ღია მეცადინეობას ესწრებოდნენ ქალაქის ბაგა-ბაღების აღმზრდელები და სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი -სპეციალისტებთან ნინო კვიწინაშვილთან და ეკა პოპიაშვილთან ერთად, რომელთაც ვერ დაფარეს დადებითი ემოციები და აღფრთოვანება გამოხატეს მონაწილე ბავშვებისა და პედაგოგების მიმართ.

21 აპრილს დედამიწის კვირეულის ფარგლებში N1 ბაღში მოეწყო დასუფთავების აქცია და თითოეულმა აღსაზრდელმა თავისი პატარა წვლილი შეიტანა ამ დიდ საქმეში.

ელზა ხარაშვილი

კიდევაც გვასახელებენ...

გასულ კვირას დედოფლისწყაროს ფოლკლორულმა ანსამბლებმა -ჰ.გონაშვილის სახ.სკოლის ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის ვაჟთა ანსამბლმა(ხალხური სიმღერის ხელმძღვანელი- გელა გველუკაშვილი, ქართული გალობის- მარინა მგელიაშვილი),გოგონათა ანსამბლმა „მანდილმა“(ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი), და ანსამბლმა „დები ლოლაშვილები“ საქართველოს საგუნდო საზოგადოების მიერ ჩატარებულ მესამე ეროვნულ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა. კონკურსის პირველი ტური დედოფლისწყაროდან მონაწილე ანსამბლებმა წარმატებით გაიარეს და უმაღლესი ქულებით გადავიდნენ მეორე ტურში, რომელიც 9 მაისამდეა ჩანიშნული. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა ჟიურიმ, დედოფლისწყაროს გუნდებს წელს განსაკუთრებული გამოსვლა ჰქონდათ, მთელ კახეთში გამორჩეული. სიამაყით უნდა აღინიშნოს ასევე ანსამბლ „მანდილის“ წევრების-დები ყოჩიაშვილების საფესტივალო დებიუტი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა ჟიურის მხრიდან, განსაკუთრებით კი შუათანა- ლიზი ყოჩიაშვილის ხმის ტემბრმა.

ამჟამად მეორე ტურისთვის გაძლიერებული მზადებაა, ჩვენმა წარმატებულმა ბავშვებმა მიიღეს მოტივაცია, კიდევ უფრო მეტი შედეგით წარსდგნენ მაღალი რანგის შემფასებელთა წინაშე და კიდევ უფრო მაღალი შედეგი აჩვენონ ჩვენი დედოფლისწყაროს სასახელოდ.

როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა

დედოფლისწყაროს N 2 საბავშვო ბაგა-ბაღის 5-6 წლიანთა ჯგუფში, პედაგოგმა ნაიკო რეხვიაშვილმა თავის აღსაზრდელებთან ღია გაკვეთილი ჩაატარა. გაკვეთილის თემა გახლდათ სამშობლოს თემა სათაურით „როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა“. ღია გაკვეთილი ჰიმნით დაიწყეს პატარებმა. შემდეგ კი ბავშვებმა უპასუხეს კითხვებზე: რა არის ჩვენი სამშობლო, რომელია საქართველოს დედაქალაქი, ვინ აღმოაჩინა თბილისი, რამდენი წლის გამეფდა ვახტანგ გორგასალი, სად არის ვახტანგ მეფე დაკრძალული, რა ენაზე ვსაუბრობთ ქართველები და ვინ შემოიტანა საქართველოში ქრისტიანობა! პედაგოგმა წაიკითხა ანა კალანდაძის ლექსი „მოდიოდა ნინო მთებით, მოდიოდა“, ბავშვებმა დახატეს საქართველოს დროშა. შესრულდა ცეკვა „ქართული“, აქვე განმარტეს, თუ რომელია ქართველების ეროვნული სამოსი, აღნიშნეს, რომ საქართველოს ჰიმნის ტექსტის ავტორია დავით მაღრაძე. აღსაზრდელებმა წაიკითხეს ლექსი სამშობლოზე, სადაც ძალიან კარგად ჩანს ჩვენი ქვეყნის ღირსებები. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ ისინი რუსთაველის, ვაჟას, ილიას, აკაკის, აღმაშენებლის, თამარის, ფიროსმანის, გალაქტიონის, ღვთისმშობლის, ქეთევანის, გოგებაშვილის ქვეყნის შვილები არიან. ბოლოს პატარებმა შეაჯამეს გაკვეთილი და გამოიტანეს დასკვნა, რომ თავადაც ყოველდღიური შრომით და სწავლით თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში, რათა წინაპართა დანატოვარი არ შებღალონ და ღისეულად ატარონ ქართველობის სახელი. ამისთვის კი, მათ ყოველდღიურად უნდა ჰკითხონ საკუთარ თავს,- რა გავაკეთე სამშობლოსათვის?! ღონისძიებას უძღვებოდა პედაგოგი და აღმზრდელი ნაიკო რეხვიაშვილი, მონაწილეობას ღებულობდნენ თანაშემწე ლიანა ელოიანი, ძიძა ირმა კიკილაშვილი, მუსიკის პედაგოგი აზა ლაპიაშვილი. ღია გაკვეთილი პატრიოტულ ნოტაზე გოგი დოლიძის ცნობილი სიმღერით „ქართველების ქართველობა დამილოცე, ღმერთო“ შესრულებით დასრულდა.

ლალი მეხრიშვილი

ფესტივალიდან გამარჯვებით დაბრუნდნენ

დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრმა კიდევ ერთი სიკეთე აჩუქა დედოფლისწყაროელებს. რამდენიმე თვეა, ჩვენს რაიონში გამოჩნდა 26 წლის ახალგაზრდა პედაგოგი ხვიჩა ალადაშვილი, რომელმაც სამეჯლისო ცეკვის ხელოვნებასთან ზიარების საშუალება მისცა აქ მაცხოვრებელ ახალგაზრდობას. დედოფლისწყაროს კულტურული ცხოვრება კი, კიდევ უფრო გახალისდა და გამრავალფეროვნდა. კამათს არ საჭიროებს ის, რომ რაიონში ამ სიახლის ჩუქების საქმეში ჩვენი ხელმძღვანელობის კეთილი ნება და სურვილი დიდ როლს თამაშობს.

შედეგად , 2016 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებიდან დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრში ახალგაზრდა პედაგოგის ხვიჩა ალადაშვილის მუშაობა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ჩვენი სამეჯლისო ცეკვის წრის მოსწავლეები სულ ცოტა ხნის წინ, უკვე თბილისის ცეკვის ფესტივალზე აღმოჩნდნენ, საიდანაც ბავშვები პირველი და მეორე ადგილებით და ჯილდოებით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ. ნაყოფიერი მუშაობის დეტალებზე თავად პედაგოგთან ხვიჩა ალადაშვილთან ვისაუბრეთ.

- ბატონო ხვიჩა, როგორ დაიწყეთ ცეკვა და როდის აღმოჩნდით ამ ესოდენ მომხიბვლელი ცეკვის სამყაროში?

- ცეკვა 12 წლის ასაკიდან დავიწყე, როდესაც ჩემი ოჯახით რუსეთში ვცხოვრობდი, იქ დავამთავრე სტუდია და ავიღე დიპლომიც, ცხადია, ამ ხნის მანძილზე არაერთ კონკუსრსში და ფესტივალში მიმიღია მონაწილეობა, ეს საკმაოდ ლამაზი და ბედნიერი ბავშვობის წლებია. შემდეგ ოჯახით ჩამოვედით თბილისში და აქაც გავაგრძელე ცეკვა.

- ცეკვაში პედაგოგიურ მოღვაწეობას როდის მოკიდეთ ხელი?

-თბილისში 9 წლის წინ ჩამოვედით, ჩამოსვლისთანავე მივედი აქაურ ცეკვის სტუდიაში და აქაც დავამთავრე 4 წლიანი ცეკვის სტუდია, ანუ თბილისური დიპლომიც ავიღე. საერთოდ, ცეკვა ბევრ მუშაობას მოითხოვს, თუ მთლიანად არ მიუძღვენი თავი, შედეგზეც არ უნდა გქონდეს პრეტენზია. სწორედ იმიტომ, რომ არ გამეწყვიტა ცეკვასთან კავშირი, აქაც დავამთავრე სტუდია და ქართული დიპლომიც დავიჭირე ხელში.

- როგორ მოხვდით დედოფლისწყაროში და რამ განაპირობა თქვენი აქ ჩამოსვლა?

-თბილისში მაქვს ჩემი სტუდია და უკვე წლებია, ვასწავლი. რამდენიმე თვის წინ ტელევიზიიდან გავიგე, რომ ქალბატონ ნონა ჯიბღაშვილს დედოფლისწყაროში სურდა სამეჯლისო ცეკვის სტუდია შეექმნა და სჭირდებოდათ პედაგოგი. ვინაიდან წარმომავლობით დედოფლისწყაროდან ვარ და აქ ნათესავებიც მყავს, გამოვთქვი მზადყოფნა, რომ, თუკი დედოფლისწყაროში ახალგაზრდებს ჰქონდათ სურვილი ესწავლათ ეს ცეკვა, მე არ დავიხევდი უკან. შემეხმიანნენ და ასე აღმოვჩნდი დედოფლისწყაროში. ჩემი აქ ყოფნა განაპირობა ისევ და ისევ ჩემი პროფესიის დიდმა სიყვარულმა, მე მინდა რეგიონის ბავშვებსაც მიეცეს საშუალება სამეჯლისო ცეკვების დაუფლების და არ გახდეს ბარიერი მათთვის ის, რომ ისინი ქალაქში არ ცხოვრობენ და ამის გამო ვერ სწავლობენ სამეჯლისო ცეკვებს. ჩემთვის მთავარია, ბავშვებს ცეკვა შევაყვარო. ვისაც ცეკვა უყვარს, ყველას მიუწვდებოდეს ხელი მის სწავლაზე. მთელი სული და გული მაქვს ჩადებული ამ საქმეში. მე მათ ვასწავლი ისე, რომ ჰქონდეთ მიღწევები.

- კვირაში რამდენი დღე ტარდება გაკვეთილი?

-კვირაში ორჯერ, კულტურის ცენტრის დარბაზში ვატარებთ. მადლობა ქალბატონ ნონას იმისთვის, რომ დარბაზს გვითმობს და აქვს სურვილი, ამ რაიონის ბავშვებს ხელი შეუწყოს ყოველმხრივ განვითარებაში.

- რაც შეეხება ფესტივალს, სადაც ცოტა ხნის წინ ჩვენი მოცეკვავე ბავშვები გავიდნენ, თქვენ სულ რამდენიმე თვიანი მუშაობის შედეგი წაიღეთ და საოცარი შედეგებით დაბრუნდნენ ბავშვები, ამაზე მოგვიყევით.

- სტუდია „ლეგენდესმა“ ქალაქ თბილისში ჩაატარა ფესტივალი, საქართველოს მასშტაბით, სადაც მონაწილეობას იღებდნენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, კახეთის მოცეკვავეები, რომელთა შორის დედოფლისწყაროს შემადგენლობაც გახლდით. ჩვენ სწავლა დავიწყეთ 2016 წლის ნოემბრიდან, თუმცა არც ერთი დღე არ გაგვიცდენია და ვმუშაობთ თავდაუზოგავად, სწორედ ნახევარწლიანი მუშაობის შედეგით წავიყვანე ბავშვები ფესტივალზე და ფაქტია, რომ რამდენიმე ბავშვისთვის პირველ ჯერზევე წარმატებული აღმოჩნდა ამ ფესტივალში მონაწილეობა. პატარების მონდომებამ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. პირველი ადგილი მოიპოვეს წყვილმა ნიკა ჩიტიშვილმა და ეკუნა ჩაგელიშვილმა, მეორეზე გავიდნენ დაჩი შანშაშვილი და ნინო პაპუაშვილი. რაკი ბიჭები ცოტა გვყვავს და მეწვილეები არ ჰყავდათ გოგონებს, ისინი მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სოლო ცეკვების ქვეჯგუფებში. სოლოებიდან გავიდნენ და კარგი შედეგი დადეს მარიამ ალუღიშვილმა, რომელმაც ორი ცეკვა შეასრულა, ასევე ფინალში გადავიდნენ სოლოებიდან ნინო პაპუაშვილი, ბარბარე ჩაგელიშვილი, ანელი ნარუსიშვილი, თათია ბოჭორიშვილი, ნინო ნატროშვილი, რომელიც პირველ ადგილზე გავიდა. და ეს ყველაფერი ნახევარი წელიწადის შრომის შედეგად. მე მინდა, თითოეულ ჩემს მოსწავლეს დიდი მომავალი ვუსურვო ცეკვაში.

-მადლობა საუბრისთვის და იმისთვის, რომ თქვენთვის ძვირფასი დრო დაგვითმეთ. წარმატებები და მრავალი აღსაზრდელი თქვენს სტუდიას.



-მადლობა თქვენ, რომ ირჯებით იმისთვის, რომ ხალხმა გაიგოს ჩვენი საქმიანობის შესახებ, მინდა მეტმა მშობელმა გაიგოს ამის შესახებ, მოიყვანონ თავისი შვილები, ატარონ ამ ცეკვაზე და შეხედონ თავისი შვილების შესაძლებლობებს.

სამეჯლისო ცეკვის სტუდიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ჩვენ ვესაუბრეთ თავად კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ქალბატონ ნონა ჯიბღაშვილს.

-ოქტომბერში ტელევიზიით გამოვაცხადე, რომ ვისურვებდი სამეჯლისო ცეკვის წრე გაგვეხსნა დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრში. გამომეხმაურნენ. ხვიჩა ალადაშვილი 26 წლის ბიჭია, მაგრამ საოცრად კარგი სპეციალისტია, თავდადებული,მოწესრიგებული, პასუხისმგებლიანი, ჯერ ერთი გაკვეთილი არ გაუცდენია ბავშვებისთვის, საოცრად შეღავათიან ფასებში ამეცადინებს ორ ასაკობრივ ჯგუფს. მოგეხსენებათ, თბილისში ამ ცეკვების სწავლება ას ლარზე ნაკლები არ ღირს, მან კი რეგიონის შესაძლებლობების გათვალისწინებით, სულ რაღაც 20 ლარად დაიწყო ბავშვების მეცადინეობა და თქვენ წარმოიდგინეთ, ნაკლებგადახდისუნარიან ოჯახებს, რომლებსაც მართლა გულით სურთ, ისწავლონ ეს ცეკვა, შეღავათებსაც უწესებს, იმდენად ადამიანური ახალგაზრდა პედაგოგია. ფაქტიურად ენთუზიაზმზე მუშაობს. ამას ჰქვია საქმის სიყვარული და ერთგულება. კვირაში ორჯერ 250 კილომეტრს გადი-გამოდის იმისთვის, რომ დედოფლისწყაროში კიდევ ერთი სიახლე შემოიტანოს, ეს ძალიან დასაფასებელი და შესაქებია. მოხარული ვარ, რომ ეს წრე ჩვენს კულტურის ცენტრში ამუშავდა და მეტსაც გეტყვით, ბევრი ბავშვი ნიჭიერი აღმოჩნდა და საუკეთესოდ დაეუფლა ამ ცეკვის ხელოვნებას. ფესტივალზე გასასვლელად პატარა მოსწავლეებმა თავად შეიკერეს და შეიძინეს სამოსი, ხოლო ზედა ასაკის ჯგუფს ჩვენ შევუძინეთ. იმედია, მომავალშიც მოგვეცემა საშუალება, ხელი შევუწყოთ ამ ბავშვების ფესტივალებზე ღირსეულად წარდგენას.

ლალი მეხრიშვილი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მამანო და დედანო, ძმანო და დანო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, „ვინლო, თუ უფალს მიეახლები სამსახურად,

განსაცდელისათვის გაამზადე თავი... ოქრო ცეცხლში გამოიცდება, უფლის სათნონიკი,– მორჩილების ქურაში“(ზირქ. 2,1,5.)

ქრისტე აღდგა!

გვესმის ყოვლადწმინდა მარიამის, მარიამ მაგდალინელისა და სხვა მენელსაცხებელე დედათა გულანთებული, სულისშემძვრელი ძახილი:

ქრისტე აღდგა!

სიხარულით აღვსილნი ადასტურებენ წმინდა მოციქულნი, — პეტრე და იოანე და სხვა მოწაფენი ქრისტესნი:

ქრისტე აღდგა!

ხმოობს ასობით სხვა თვითმხილველიც.

დღეს იშვების ცანი და ქვეყანა, განსცხრების სიონი და ჩვენც, თანაზიარნი ამ ზეიმისა, ვისმენთ აღდგომილი მაცხოვრის დიად სიტყვებს:

,,გიხაროდეთ!“ (მთ.28;9), ,,მშვიდობა თქვენდა!“ (ინ.20;19), ,,ნუ გეშინინ, მე ვარ პირველი და უკანასკნელი მკვდარი ვიყავი და, აჰა, ცოცხალ ვარ უკუნითი უკუნისამდე. მიპყრია სიკვდილისა და ჯოჯოხეთის კლიტენი“ (გამოცხ.1, 17–18) და ,,მოცემული მაქვს მთელი ხელმწიფება ცაში და დედამიწაზე“ (მთ 28;18); ,,ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და სწამს ჩემი მომავლინებელი, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე“ (ინ.5;24);

რა უნდა იყოს ჩვენთვის ამაზე უფრო ტკბილი და მნიშვნელოვანი მოსასმენად?! იხარეთ, ერნო!

აღდგა ქრისტე და მასთან ერთად ძველი აღთქმის მართალთა სულნიც; ქრისტეს აღდგომით თითოეულ ასევე ჩვენგანს მიეცა შესაძლებლობა სიკვდილის დაძლევისა და სამოთხის დამკვიდრებისა, რადგან მაცხოვრის კაცობრივი ბუნება მოიცავს ადამიანთა მოდგმის მთელ სისავსეს, ერთ კაცად ქმნილ კაცობრიობას და მასში ვართ ჩვენ ყველანი; მაგრამ მის ჰიპოსტასს ასევე აქვს სრული საღვთო ბუნებაც და ეს ორი ბუნება შეურევნელად, შეურწყმელად და განუყოფლად არის ურთიერთდამტევნელი.

დაუშვებელი რომ დავუშვათ და წარმოვიდგინოთ, რომ ძე კაცისას მხოლოდ ადამიანური ბუნება ჰქონოდა და მკვდრეთით აღდგომა შეეძლო, სიკვდილს ოდენ თავის თავთან მიმართებაში დასძლევდა და ისიც მხოლოდ დროებით, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, სინაგოგის მთავრის ქალიშვილის, ნაინელი ქვრივის ვაჟის, ან თუნდაც ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების შემთხვევაში (უფრო ადრე კი ელია წინასწარმეტყველისა და ელისეს მიერ აღსრულებულ სასწაულებში).

მაცხოვართან მიმართებით კი ჯოჯოხეთი მოტყუვდა!

იესოში ვერ შეიცნო ღვერთკაცი. განიზრახა მისი ადამიანური სულის სხვა ადამიანთა სულების მსგავსად შთანთქმა.

მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი და სრულიად საპირისპირო რამ!

იმის ნაცვლად, რომ ჯოჯოხეთს დაენთქა ჯვარცმული ,,მეუფე ჰურიათა,“ თვითონ დაინთქა და შეიმუსრა, რადგან ვერ დაიტია ქრისტე და მის საღვთო ძალას ვერ შეეწინააღმდეგა.

სიკვდილი შედეგია ცოდვისა და ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებეობენ; ხოლო ვინაიდან მაცხოვარი უცოდველი იყო, მას ვერც სიკვდილი დაეუფლა და ვერც ჯოჯოხეთი; პირიქით, ორივე იძლია და განქარდა.

,,სადა არის სიკვდილო, საწერტელი შენი,

სად არს ,,ჯოჯოხეთო“ ძლევაი შენი“ (1 კორ. 15;55)!

იესო ქრისტე თავისკენ უხმობს ცხონების ყველა მსურველს, ახალშობას ანიჭებს მათ მარადიული სიცოცხლისათვის, და, ამასთან, ცასა და მიწას ახალ ცად და ახალ მიწად გარდაქმნის. ამიტომაც იგი „მეორე ადამად“ იწოდება. „როგორც ერთი კაცის ურჩობით ბევრი გახდა ცოდვილი, ასევე ერთის მორჩილებით ბევრი გახდება მართალი“ (რომ. 5,19), — ვკითხულობთ ახალ აღთქმაში.

უფალთან პირველი და უმთავრესი კავშირის დამყარება ნათლისღებით ხდება. ეს უდიდესი საიდუმლოა და ქრისტეს ჯვარცმას, დაფლვასა და აღდგომასთან თანაზიარებას ნიშნავს; ,,ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ, ... ხოლო თუ დავენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას, რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ... ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვის შვილები“(რომ; 6, 3, 4, 6).

ასე რომ, წყალში სამგზის შთაფლვით ჯოჯოხეთში მაცხოვრის სამი დღით ყოფნას, შემდეგ კი მის ძლევასა და აღდგომას ვემოწმებით, ცოდვათაგან სრულიად ვთავისუფლდებით, ახალ ადამში, ქრისტეში, განახლებულ პიროვნებად ვიბადებით. მირონცხება კი გვანიჭებს სულიწმინდის ბეჭედს. ნათლისღებისა და მირონცხების საიდუმლომ მადლმოსილებით იცვლება გული და გონება, ძლიერდება სიყვარული შემოდის სიმშვიდე, უცხო ხდება რისხვა, მძვინვარება, შური, თვალთმაქცობა, ყოველგვარი ბოროტება და უწმინდურება.

თუმცა ასეთი მდგომარეობა შეიძლება დიდხანს არ გაგრძელდეს. ხელმეორედ შობის (ნათლობის) შემდეგ ადამიანი, თავისი სუსტი ნებისყოფის გამო, ხშირად ეშმაკის მახეში კვლავ ებმევა და იწყება საკუთარ თავთან, ჩვენს მანკიერებებთან ჭიდილის პროცესი, რომელიც გარდაცვალებამდე გრძელდება.

გავიხსენოთ მოციქულის სიტყვები: „გონებით რჯულს ვემონები, საქმით კი ცოდვით რჯულს, არ ვაკეთებ კეთილს, რომელიც მსურს, არამედ ვაკეთებ ბოროტს, რომელიც არც მსურს. ჩემს ასოებში (სხეულის ნაწილებში) მე ვხედავ სხვა რჯულს, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ჩემი გონების რჯულს და მხდის ცოდვის რჯულის ტყვედ. უბადრუკი ადამიანი ვარ!“ (მთ.8, 19-24)

ჩვენ რაღა გვეთქმის? თითოეული ჩვენგანის გულიც ასპარეზია კეთილსა და ბოროტს შორის ბრძოლისა; ამასთან, უფრო სუსტი ბრძოლისა, რადგან წინააღმდეგობის გაწევის უნარი ჩვენ ნაკლებად გვაქვს.

რა თქმა უნდა, არიან ისეთი პიროვნებები, თავიდანვე მტკიცე ბარიერს რომ უქმნიან საცდურს; სხვანი უფრო ადვილად თმობენ პოზიციებს, ზოგიერთნი კი საერთოდ ვერ გრძნობენ ნათლობის მნიშვნელობას და მეორე დღესვე ცოდვილ ცხოვრებას უბრუნდებიან.

ეშმაკის საცდურთაგან თავდახსნას კეთილნი და თავმდაბალნი შეძლებენ, — წერენ წმინდა მამები.

წმ. ანტონი დიდი კი ბრძანებს: ვინც არ არის კეთილი, ვერც ვერასოდეს შეიმეცნებს უფალს და იგიც ასეთს თავისთან არ მიიღებს. ერთადერთი საშუალება ღმერთის შეცნობისა არის სიკეთისა და სიყვარულის გზა.

შევნიშნავთ იმასაც, რომ თუ კეთილი საქმე სხვათა დასანახად და დიდებისმოყვარეობისათვის აღესრულება, იგი ცოდვად გარდაიქცევა; ასევეა სიმართლის შემთხვევაშიც: სიმართლით ქედმაღლობა აცამტვერებს სიმართლეს (წმ. იოანე ოქროპირი).

საერთოდ, ცოდვა მომდინარეობს იქედან, რომ ადამიანი თავის თავს უფრო ბრძნად მიიჩნევს, ვიდრე ღვთის მცნებები და კანონები. ასეთნი საკუთარ წესებსა და კანონებს გვთავაზობენ ან თავის ნააზრევს ღმერთს მიაწერენ. ამ მხრივ ყველაზე დიდი დანაშაული არის ეკლესიაში განხეთქილების ან მწვალებლობის შემოტანა. ამის ჩამდენნი მოწამეობრივი სიკვდილითაც რომ აღესრულონ, ცოდვას ვერ ჩამოიბანენ. ასევე უდიდესი ცოდვაა ქვეყნის მტრობა და მისი ერთიანობის დარღვევის მცდელობა.

ვნებათა შორის ყველაზე დაფარული და გავრცელებული პატივმოყვარეობაა. ასეთი კაცი ყოველთვის საკუთარ „მეს“ უკმევს გუნდრუკს, თუმცა ცდილობს, ეს დაფაროს და სხვათა თვალში კეთილმსახურად გამოჩნდეს.

ეგოისტური „მე“ — სგან განდგომა და საკუთარი თავის პირუთვნელი შეფასება უდიდესი ღირსება და აუცილებელი პირობაა ქრისტიანული ცხოვრებისა.

უპატიებელი ცოდვაა სასოწარკვეთა და სიცოცხლის თვითმკვლელობით დამთავრება. ვინც ამ ნაბიჯს შეგნებულად დგამს, რა თქმა უნდა, ვეღარ უძლებს თავისი ჯვრის სიმძიმეს და გამოსავლს ასეთ ძმედებაში-ღა ხედავს. ამ ადამიანებს, სინამდვილეში არასწორი აზროვნება აქვთ. მათი მთავარი შეცდომა ის არის, რომ მარტო ცდილობენ შეეჭიდონ სიძნელეებს და მხოლოდ თავისი შესაძლებობებით სურთ, გაუმკლავდნენ სირთულეებს. ვერ ხვდებიან იმას, რომ ჯვარი იქამდეა მძიმე, ვიდრე მის ტვირთვას მხოლოდ შენს თავზე მინდობილი ცდილობ; როგორც კი ჩვენი პირადი ჯვარი ქრისტეს ჯვრად იქცევა, ანუ ჩვენი ცხოვრება ქრისტეს რწმენითა და მისი მცნებებით განიმსჭვალება, ყოველგვარი დაბრკოლება, ყოველგვარი საშიშროება სხვა განზომილებაში გადადის და აღმოვაჩენთ, რომ უმძიმესი განსაცდელიც კი ჩვენი სიკეთისათვის ყოფილა უფლისგან დაშვებული. ამის შეგნება ჩვენში სიმშვიდეს ასადგურებს და ღვთისადმი იმედით, მადლიერებითა და მორჩილებით განგვაწყობს.

ერთ-ერთი ფილოსოფოსი ადამიანური ურთიერთდამოკიდებულების ორ ძირითად სახეს ასე ახასიათებს: ეს არის კავშირი: ,,მე და შენ“ და ,,მე და ის.“

,,მე და ის“, — ამ ურთიერთობაში ,,მე“ დაშორებულია ,,ის“-ისაგან, ანუ მესამე პირისგან. ,,ის“ უცხოა, სხვაა, ზოგ შემთხვევაში მიუწვდომელიც. აქ ნდობას, ახლობლობას ადგილი არა აქვს. იგია დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტს შორის.

რაც შეეხება კავშირს „მე და შენ,“ აქ „შენ“ აღარ არის ობიექტი, არამედ იგიც სუბიექტია, „მე-ს“ თანასწორია და მათ შორის ურთიერთგაგება და სიყვარულია.

თუმცა ეს მდგომარეობა ხშირად იცვლება და ,,შენ“-ს ელის საშიშროება, იქცეს ობიექტად. ამის მიზეზი ცოდვით დაცემული ადამიანური ბუნებაა, ჩვენი ნაკლულევანებაა, ადრე თუ გვიან იმ რეალობის აღმოჩენაა, რომ ნებისმიერ ადამიანთან შეიძლება დამოკიდებულება შეიცვალოს.

ამიტომაც, თუ გვინდა, ამქვეყნად ვიცხოვროთ სწორად, გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილებისაგან დაცულად, ჩვენთვის ,,შენ“, უპირველესად, უნდა იყოს მარადიული, უცვალებელი ღმერთი, რომელიც ყოველთვის დაგვეხმარება დავძლიოთ ნებისმიერი გაუცხოება, ნებისმიერი სირთულე, ყოველი ადამიანური სისუსტე „მე და შენ“ ურთიერთობისა.

დიახ, ქრისტე განყენებული ღმერთი კი არ არის, თითოეულ ჩვენგანს პირად მეგობრობას გვთავაზობს; მისი შეცნობა და მასთან დაახლოება ეკლესიაში და ეკლესიური საიდუმლოებებით არის შესაძლებელი: ევქარისტიით თანაზიარნი ვხდებით მაცხოვრის ჭეშმარიტი ხორცისა და სისხლისა და ვიმსჭვალებით მისი ცხოველმყოფელი მადლით; ამასთან გვეუფლება საკუთარი ულირესების შეგრძნება და მიმტევებელნი ვხდებით. ღვთის დახმარების გარეშე კი ნებისმიერი ადამიანი, როგორც არ უნდა მოინდომოს მან ეს, უკეთესობისკენ ვერ შეიცვლება და ვერც ცოდვისაგან განიწმინდება.

და როგორც მაცხოვარმა საღვთო ძალით შემუსრა ჯოჯოხეთი და სიკვდილი, ჩვენც მხოლოდ ქრისტეს მადლითა და ძალით აღვსილთ ძალგვიძს მათი დამარცხება. ჩვენ ყველას ჩვენი გოლგოთა გველის და ყველა მართალს აღდგომა და ამაღლება.

შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: თუ მაცხოვარმა სიკვდილი დათრგუნა, რატომღა არსებობს იგი ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში?

შეგახსენებთ, რომ აღდგომილი ქრისტე იწოდება როგორც ,,მეორე ადამად,“ ისე ,,პირმშოდ შესვენებულთა“, რადგან გარადაცვლილთა შორის პირველმა მან შეიმოსა უხრწნელი სხეული, ანუ აღდგა იმ სახით, რაც ადამს, ღვთის მადლით, ჰქონდა ცოდვით დაცემამდე. ყველა ჩვენგანი კი მაცხოვრის მეორედ მოსვლისას აღვდგებით უხრწნელი სხეულით; მანამდე კი ხორციელი სიკვდილი იარსებებს, ვიდრე თუნდაც ერთი ადამიანი იძნება დედამიწაზე.

საყოველთაო განკითხვისას კი სიკვდილი საბოლოოდ განქარდება, რადგან აღარც მატერიალური ცხოვრებაც დასრულდება და ყოველი ადამიანის სულიც, თავის უნივთო სხეულთან შეერთებული, საბოლოო ხვედრს განიკუთვნებს,– მართალნი, დამსახურებისამებრ, ზეციური იერუსალიმის სახდასხვა სავანეში, ცოდვილნი, — მარადიული სატანჯველის სხვადასხვა სამყოფელში.

ხოლო ვიდრე ეს ჟამი დამდგარა, ჯოჯოხეთში მყოფ გარდაცვლილთა მდგომარეობის შეცვლა, ღვთის მოწყალებით, კიდევ არის შესაძლებელი. მათ თავისი თავისთვის არაფრის გაკეთება არ ძალუძთ, მაგრამ ეკლესიის მეოხება, ახლობელთა მხურვალე ლოცვა და მათ

(გაგრძელება გვ.7)

სააღდგომო წირვა-ლოცვა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი ქ. დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში დაესწრნენ სააღდგომო ლიტურგიას, რომელიც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ (კაპანაძე) სხვა მღვდელთმსახურებთან ერთად აღავლინა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოსახლეობას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა:

- „ქრისტე აღდგა!

მინდა ყველას მოგილოცოთ მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. ეს დღე გამორჩეული და განსაკუთრებულია! აღდგომა საყოველთაო განახლებისა და სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღეა. ამ სასწაულმა სრულად შეცვალა ადამიანთა წარმოდგენა რწმენასა და იმედზე. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს, გისურვებთ სულიერ სიმშვიდეს, ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და სიხარულს.“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

(მეექვსე გვერდიდან)

სახელზე აღსრულებული ქველისსაქმენი, თვით ჯოჯოხეთიდანაც იხსნის იმ ადამიანთა სულებს, რომლებიც სინანულით აღესრულნენ, თუმც კი საქმით ვერ მოასწრეს ეჩვენებინათ ამის ნაყოფი. ასეთნი გამოხსნადნი არიან და ჩვენი ვალია, ვიზრუნოთ მათთვის.

რაც შეეხება ცხონებულთა მდგომარეობას, მართალია, ისინი ზეცად ნეტარებენ, მაგრამ თავისი რწმენისა და ღვაწლის სრულ საზღაურს ისინიც მაცხოვრის მეორედ მოსვლისას მიიღებენ.

ეს არის მართალმადიდებელი ეკლესიის სწავლება, რომელიც, რა თქმა უნდა, ბევრმა იცის, მაგარამ ბევრსაც სწორი წარმოდგენა არა აქვს, ამიტომაც ამ თემას შევეხეთ.

რაც შეეხება ამქვეყნად მყოფთ: ჩვენ ერთმანეთს ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს ვუსურვებთ ხოლმე და ამისათვის მეტ-ნაკლებად ყველანი ვზრუნავთ, მაგრამ ყველა არ ზრუნავს იმისათვის, რომ სწორად, ღვთისნიერად იცხოვროს; არადა, სიცოცხლის ხანგრძლივობა უფლის ნებაზეა დამოკიდებული, სწორად ცხოვრება კი,- ჩვენზე. შევთხოვთ ღმერთს, ეს იქცეს ყოველი ადამიანის უმთავრეს მიზნად.

-რით დავიწყოთ?

-სინანულით, როგორც გვასწავლის წმინდა იოანე ნათლისმცემელი, როგორც გვასწავლის იესო ქრისტე.

იგია სასწაულთმოქმედი წამალი ჩვენი სულისა!

სინანული ზეციური ნიჭია და წყალობაა, რომელიც ღვთის მსჯავრსაც კი სცვლის; სცვლის პიროვნებისადმი როგორც შემოქმედის, ისე მოყვასის დამოკიდებულებას. მეძავიც, ქურდიც, ამპარტავანიც, მოშურნეც, ლოთიც, შეურაცხმყოფელიც და მოძალადეც... გულწრფელი სინანულით, აღსარებითა და ზიარებით მთელ ჭუჭყს იცილებს და ბოროტებას ასამარებს.

სინანული სინდისის განწმენდაა, ნათლისღების განახლებაა, ცოდვით მომკვდართა აღდგომა და ღმერთთან კავშირის განახლებაა, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილი ცოდვის შესაბამისი იქნება.

უფლისათვის ცოდვის სიმძიმე იმდენად გამამწარებელი არ არის, რამდენადაც გამოსწორების სურვილის ნათელი, ანუ ადამიანის ბოლო ბოლო მიზანი. ადამიანი ვობით არ განისაზღვრება, არამედ განცდის სიღრმით, რადგან სხვა არის სამართალი ღვთისა და სხვა ადამიანისა. ამასათან სულიერ კიბეზე ამაღლება ნებისმიერ პიროვნებას ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია და ამ წუთისოფელში არ არსებობს ბოროტება, არ არსებობს ისეთი დაცემული მდგომარეობა, საიდანაც უფლისაკენ მობრუნება იყოს შეუძლებელი, რადგან არ არსებობს ისეთი ცოდვა, რომელიც აღემატება ღვთის სიყვარულსა და მოწყალებას.

გავიხსენოთ ვნების კვირაში განვითარებული მოვლენები: გამცემელი იუდა, უფლის სამგზის უარმყოფელი, — გულმხურვალე მოციქული პეტრე, შეშინებული მოწაფეები, ერთგული იოანე და მენალსაცხებლე დედები, ფარული ქრისტიანები, პირადი კეთილდღეობისათვის უსამართლო მსჯავრის გამომტანი პილატე, ასევე უსამართლო სინედრიონი, მათ მინდობილი გულუბრყვილო ხალხი და სხვანი.

გავიხსენოთ ორი ავაზაკიც, ისინი ხომ ჯვარცმამდე, ფაქტიურად, მსგავისი ცხოვრებით ცხოვრობდენენ და ერთი ხვედრი ამიტომაც ერგოთ. სულ ბოლო მომენტში, კი, — ჯვარზე, — მათი გზები რადიკალურად გაიყო: ერთმა სინანულითა და ქრისტეს რწმენით სამოთხე დაიმკვიდრა, მეორემ კი, უტიფრობითა და უგულისხმობით, -ჯოჯოხეთი.

თითოეულ ჩვენგანს ჩვენი გზა და ჯვარი გვაქვს. როგორი იქნება იგი და სადამდე მიგვიყვანს?

ინებოს ღმერთმა, ჩვენც ჩვენი გულწრფელობითა და ცოდვის განცდით მაცხოვრის შეწყალების ღირსნი გავხდეთ და საყოველთაო აღდგომის დღეს ჩვენც განგვეცხადოს მისი სიტყვები: ,,მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ სამყაროს შექმნიდან თქვენთვის განმზადებული სასუფეველი“ (მთ.25,34).

გიხაროდეთ, ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, უდინნო, ქურთნო, იეზიდნო, ბერძენნო, რუსნო, უკრაინელნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, ებრაელნო, ქისტნო, ჩეჩენნო, ლეკნო და ყოველნო შვილნო ივერიისა, ჩვენს სამშობლოში მკვიდრნო და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო,

სიკვდილი შეიმუსრა!

ქრისტე აღდგა!

უფალი მეფობს!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი

თბილისი,

აღდგომა ქრისტესი

16.04. 2017.

ელგუჯა თეთვაძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გივი ლაზვიაშვილს დედის

რუსუდან ჯავახიშვილის

გარდაცვალების გამო.

გამოსათხოვარი

ლამარა გონაშვილი



გარდაიცვალა ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დამსახურებული პედაგოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მასწავლებელი ლამარა გონაშვილი-პოპიაშვილი. მისმა სიკვდილმა ბევრ ადამიანს ატკინა გული. ის არამარტო საუკეთესო პედაგოგი, არამედ ბრწყინვალე მეუღლე, დედა, ბებია და თანამშრომელი იყო. ძნელია ჩემთვის მასზე წარსულში ლაპარაკი. ის თავისი აღზრდილების და კოლეგების გულში ყოველთვის დარჩება თბილ და კეთილ ადამიანად.

ყოველთვის გვემახსოვრები, საყვარელო დედავ, შენს შვილებს, რძალს და შვილიშვილებს. მსუმბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა.

შვილი გია პოპიაშვილი ოჯახით.

დაიკრძალა 18 აპრილს დედოფლისწყაროში.

მონატრება

გიორგი (ჟორა) კვიწინაშვილი

ჩვენო ტკბილო, გულიანო ადამიანო, ძალიან დაგვაკლდი. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა აღარ იყავი, შენმა სიკვდილმა უზომოდ დაგვწყვიტა გული. საოცრად კეთილი, ყურადღებიანი კაცის სახელით გიცნობდა ყველა, ასეთი კი ბევრი არ იყო დედოფლისწყაროში. შენი ბავშვობა საკმაოდ მძიმე იყო, ობლობის მწარე ხვედრი შენს თავზე გამოსცადე. მართალია, ყველას უჭირდა მაშინ, მაგრამ ქვრივმა მამიდამ მეოთხე შვილივით გაგზარდა და არაფერი მოგაკლო. სკოლის დამთავრების შემდეგ რუსთავში ხელობასაც დაეუფლე და ცეკავშირის სასწავლებელიც დაამთავრე. მთელი შენი შეგნებული ცხოვრება დედოფლისწყაროს სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველად მუშაობდი, ყველგან პატიოსანი, კარგი მუშაკის სახელი გქონდა. დედოფლისწყაროში დაოჯახდი და სამი კარგი შვილი გაუზარდე სამშობლოს.

82 წლის ასაკში, 2017 წლის 17 მარტს დაემშვიდობე ამქვეყნიურ სამყოფელს, შენს შვილებსა და შვილიშვილებს და გადაინაცვლე სხვა სამყაროში. ამბობენ, ვინც ამქვეყნად შთამომავლობას ტოვებს, ის არასოდეს კვდებაო- ჩვენ გვჯერა ამის, რადგან შენი შვიდი შვილიშვილი შენს შვილებთან ერთად ყოველთვის მოგიგონებს, აგინთებს სანთელს და ღმერთს შეავედრებს შენს სულს!

უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი შენს სულს, ამაგიანო მამავ და პაპავ!

შენი ოჯახი

ყურადღება:

გ ი წ ვ ე ვ თ !

გაზეთმა **„საქართველოს ლირიკა“** და საქველმოქმედო საზოგადოებამ **„ამაგდარი“,** საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე, გამოავლინა გამარჯვებულები ნომინაციაში „წარმატებული ოჯახი წარმატებული ქვეყნის საწინდარია“. აღნიშნულ ნომინაციაში გამარჯვებულები არიან: ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე, ჯემალ და მანანა ბაღაშვილები **თბილისიდან,** რომან მჭედლიშვილი და ნინო გომართელი **ბორჯომიდან,** გივი ღვინიაშვილი და რეგინა ჯანიაშვილი, იაგო ყოჩიაშვილი და ლია ხუციშვილი, სოსო და მარინე თევზაძეები **დედოფლისწყაროდან.**

29 აპრილს, დღის 2 საათზე, სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში მოხდება ნომინანტების დაჯილდოება. ღონისძიება დაიწყება დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიიდან 1 საათზე, სადაც გაიმართება ჯვარდაუწერელი წყვილების ჯვრისწერა. კონცერტში, რომელიც სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გამარჯვებულ წყვილთა საპატივსაცემოდ გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ: გია ბაღაშვილი – ყველასთვის საყვარელი მუსიკოსი და მუსიკათმცოდნე, „ქუჩის მუსიკოსების“ მუსიკალური ხელმძღვანელი, ფოლკლორული კვარტეტი „კესანე“ და მისი ხელმძღვანელი, შეუდარებელი ლელა თათარაიძე, საპატიო სტუმრის სტატუსით გვეწვევა საქართველოს დამსახურებული არტისტი, გინესის რეკორდების გამარჯვებული მანონი ყუბანეიშვილი, ოპერისა და ბალეტის ახალგაზრდა სოლისტები ლევან მაკარიძე და გიორგი წამალაშვილი. მათ მხარს დაუმშვენებენ ჩვენი რაიონისთვის კარგად ცნობილი და საყვარელი გოგონები: „დეგი ლოლაშვილები“ და „დეგი ყოჩიაშვილები“.

მოგრძანდით, მეგობრებო, ასეთი საინტერესო და მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამის მოსმენის საშუალება იშვიათად თუ მოგვეცემა.

საორგანიზაციო კომიტეტი

სამი დედოფლისწყაროელის სამი ოქრო

რამოდენიმე დღის წინ ქ.ერევნიდან დაბრუნდა საქართველოს ტაილანდური კრივის ნაკრები გუნდი (ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ჯავახია) რომელიც მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნებთან ერთად საერთაშორისო ტურნირზე.

საქართველოს ნაკრებმა IFMA-ს ეგიდით მიმდინარე შეჯიბრზე წარმატებებით იასპარეზა და სხვადასხვა სინჯის მედლით დაბრუნდა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონი“-ს სამი სპორტსმენი ირიცხებოდა:მალხაზ ჯაგაშვილი 45კგ; ამირან ქიბიშაური 54კგ; ირაკლი ჯამასპიშვილი 71კგ (მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი)

სასიხარულოა,რომ ჩვენი რაიონის სამივე სპორტსმენი ჩემპიონის ტიტულით და ოქროს მედლით დაბრუნდა.

როგორც აღნიშნა ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ჯავახიამ,დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა გამოავლინეს კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება და ყველა ორთაბრძოლა აშკარა უპირატესობით დაასრულეს.

სპორტული გუნდი „ჩემპიონი“-ს სპორტსმენებს ვულოცავთ წარმატებას და ვუსურვებთ, ასევე გამარჯვებებით გაეგრძელებინოთ სვლა ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებისკენ.

ულოცავენ!

ლერი კვაჭანტირაძეს!

ძვირფასო ლერი, მონატრებული სიყვარულით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს – 80 წლისთავს! რა დრო გასულა, ძალიან ცოტანი დავრჩით, ჩამოდი, მოვეფეროთ ერთმანეთს. გკოცნით დიდი სიყვარულით.

შენი თანაკლასელები:
ნათელა ბილიაშვილი,
მიმოზა გოგილაშვილი, ლენა ბეჭანიშვილი

კ რ ო ს ვ ო რ დ ი



1. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოების სახესხვაობა. 2. თითოეული წარმომადგენელი იმ დინასტიისა, რომლებიც ძველ სპარსეთს ედგნენ სათავეში. 3. ერთგვარი საგანგებო-საზეიმო სამოსი მამაკაცისა. 4. მშობლიური სოფელი ბატონი რევაზ ინანიშვილისა. 5. იტალიელი ფეხბურთელი, მცველი. 6. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი თანამედროვე ჰოლივუდისა. 7. სინათლის სხივის გარდატეხა-გაჭოლვისას წარმოქმნილი ზოლი. 8. ის, ვისაც 25-30 წლის წინანდელ საბჭოეთში „ალო“-ს ძახილით დაეძებდნენ ტელევიზიაში. 9. რა არის ამორტიზაცია თავისი არსით?. 10. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ანტონ ჩეხოვის პიესისა „თოლია“. 11. თანამედროვე რუსული პოლიტიკის ერთ-ერთი ლიდერი, თბილისის საპატიო მოქალაქე. 12. დანაშაული ანუ რა?. 13. ფსევდონიმური „სტატუსი“ კაცისა, რომელიც 12 წელი „პოლშის ციხემ მალაო“. 14. ჩვენებური ტოპონიმი, რომელსაც უკავშირდება „ტაძარიც“ და „ღვინოც“. 15. სამცხე-ჯავახეთის უძველესი თავადური დინასტიის გვარ-წოდება. 16. თივის კონფიგურაციული სახესხვაობა. 17. გულუბრყვილო ქალის როლის შემსრულებელი მსახიობის ამპლუა. 18. 1990 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი. 19. ქალაქი სამხრეთ იტალიაში. 20. მიმდევარი იმ პოლიტ. მიმდინარეობისა, რომელიც ეკლესიის გავლენის გაძლიერებას ცდილობს სახელმწიფოს კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 21. საფრენი აპარატების სპეციალური მოწყობილობა. 22. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დეტექტივი მსოფლიო ლიტერატურისა. 23. რა ერქვა ქალბატონს, რომელიც მღეროდა - „ქარი კვლავ არხევს, ნაცნობ ლელიანს“-ო?. 24. ზრდადასრულებული ქალების გასალამაზებელი საშუალება. 25. მხედველობითი ნაკლის მქონე პიროვნება . 26. ვენური სისხლის შეგუბება. 27. რა ჰქვია კიევის აეროპორტს?. 28. ძალზედ მცირე წონის ანუ როგორი?. 29. შესანიშავი ქართველი მოცეკვავე ქალბატონი (.....) ფოჩიანი. 30. ვედიზმის მიხედვით: ჭექა-ქუხილისა და ქარიშხლის ღმერთი. 31. ნიუ-იორკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქუჩა. 32. ქართული ჭიდაობის ილეთი. 33. კაცი, რომლის სახელსაც ქალაქ ტროას აღმოჩენა უკავშირდება. 34. გულისათვის დამახასიათებელი ქმედება. 35. „ბითლზის“ ანსამბლის ერთ-ერთი წევრი. 36. დასახლება სოხუმის მახობლად, ერთდროს ფეხბურთელთა გამოსაზამთრებელი ადგილი. 37. მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი. 38. რა ჰქვია ყოველ მიმდევარს იმ რელიგიისას, რომელიც თითქმის მთელ ინდოეთში დომინირებს?. 39. ასე ვთქვათ, საბირჟო აღებ-მიცემობა თუ გაცვლა-გამოცვლაში აქტიურად ჩართული საქმოსანი. 40. ყვავილი, რომლის „ველურობითაც“ ერთი ცნობილი ვიდეოფილმის შემქმნელნი დაინტერესდნენ.

ყურადღება!

შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრი“ გაცნობებთ, რომ დედოფლისწყაროს ცენტრალური რეზერვუარის საგაზაფხულო რეცხვის გამო **26** და **27 აპრილს** მოსახლეობას შეუწყდება წყალმომარაგება. გთხოვთ, გაითვალისწინოთ.

შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრი“ ბოდიშს გიხდით დისკომფორტისთვის.

ყურადღება!

იყიდება ოროთახნახევრიანი (2,5) კუთხის ბინა ლოჯიით, აქვს სარდაფი, კაპიტალური ავტოფარეხი, სათავსოები (საღორე, საქათმე). ავტოფარეხის წინ არის გადახურული და შემოღობილი ადგილი. ბინა უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით, წყლით და ელექტროენერგიით. მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, თბილისის ქ. N21, კორპუსი 37, მეხუთე სართული, ბინა N15.

☎ 591 93 -71-64

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 24.04		სამშაბათი 25.04		ოთხშაბათი 26.04		ხუთშაბათი 27.04		პარასკევი 28.04		შაბათი 29.04		კვირა 30.04	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	10 °	9 °	10 °	7 °	8 °	7 °	9 °	8 °	11 °	10 °	13 °	12 °	15 °	14 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.